ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 25

24 მაისი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, ლ. ძნელაძე, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. გიორგი დოხტურიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ლილე ლიპარტელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. გიორგი ბირბიჩაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. ნინო კვეტენაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი;
4. გელა ჩივიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-031914291-03; 22.05.2019).

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი ზარქუას განმარტებით, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი იზრდება 12 მილიონი ლარით და საბოლოო ჯამში დედაქალაქის ბიუჯეტი 1 075 101 800 ლარით განისაზღვრება, რაც მეტ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტს, შედეგად კი გაუმჯობესებულ მუნიციპალურ სერვისებს გულისხმობს. ბატონმა ირაკლი ზარქუამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს.

ბატონი გაიოზ თალაკვაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს და განმარტა, რომ სესხის სახით მოზიდული სახსრების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 12 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 101,8

ათასი ლარით, აღნიშნულ სესხთან დაკავშირებით კი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N101 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N1074 განკარგულებებით. ბატონი გაიოზის თქმით, აღნიშნული თანხა ძირითადად გადანაწილებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მათ შორის, მეტროს ვაგონების რეაბილიტაციისა და გლდანში მეწყერსაშიში ზონის გამაგრებისთვის.

ბატონმა გაიოზმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამა/ქვეპროგრამაში ღონისძიებების ღირებულებების დაზუსტების შედეგად ხორციელდება.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ საკრედიტო ხაზის გახსნასთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა ბანკს გაეგზავნა ინფორმაცია საუკეთესო პირობების შერჩევის მიზნით, რომელთაგან აღსანიშნავია „თი ბი სი ბანკისა“ და „ლიბერთი ბანკის“ შეთავაზებები.

განმარტებების შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ვახტანგ შაქარიშვილს, რომელიც დაინტერესდა თუ რომელ ბანკთან გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება და რამდენად ახდენს დედაქალაქის მერია სესხად აღებული თანხების ათვისებას, რაზეც ბატონმა ირაკლი ზარქუმ განმარტა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია ს.ს. „თი ბი სი ბანკთან“ და ს.ს. „ლიბერთი ბანკთან“. ხოლო კითხვის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ თანხების ათვისება ჯერ არ მომხდარა, ხოლო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების საკომისიო 0%-ია და შესაბამისად, ხარჯიც არ არსებობს.

საკრებულოს წევრი, ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა დაიფარება თუ არა აღნიშნული სესხი ბიუჯეტის ტრანსფერიდან და მოიცავს თუ არა მას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი.

დეპუტატის კითხვასთან დაკავშირებით, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტში წინა წლის ბიუჯეტისგან განსხვავებით, გათანაბრებითი ტრანსფერი აღარ არის და დარჩა მხოლოდ სპეციალური ტრანსფერი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ მიუღია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან. ბატონი გაიოზის თქმით, ქალაქ თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ გასულ სხდომაზე, როდესაც საკრედიტო ხაზის მოცულობის ზრდა განიხილებოდა, აღინიშნა, რომ მატება განპირობებულია ტრანსფერის გაცემის თაობაზე თბილისის მერიისა და საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს შეთანხმებით. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული სამინისტრო სპეციალური ტრანსფერს მისცემს დედაქალაქის მერიას, მოხდება ქალაქ თბილისის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, საკრედიტო ხაზის ნაწილის შემცირების პარალელურად, რაც ნიშნავს, რომ სპეციალური ტრანსფერის მიღებას არ მოჰყვება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ზრდა.

ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა კომენტარის სახით აღნიშნა, რომ იმედოვნებს, დედაქალაქი აღარ გააგრძელებს კრედიტის აღებას, რაზეც ბატონმა ირაკლი ზარქუამ უპასუხა, რომ პროექტების უწყვეტ რეჟიმში განსახორციელებლად, შესაძლებელია მომავალშიც მოხდეს მსგავსი გზით თანხების მოზიდვა. დეპუტატის თქმით, დამტკიცებული საკრედიტო ხაზის საფუძველზე გამოცხადდა რამდენიმე ტენდერი, მათ შორის, ქალაქ თბილისის მეტროს ვაგონების შეკეთებისა და მეწყერსაშიშ ზონებში გამაგრებით სამუშაოების ჩატარებისთვის.

ქალბატონი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, სად შეიძლება ნახოს, საკრედიტო ხაზის მომსახურება არის თუ არა უფასო, რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა, რომ დედაქალაქის მერიისადმი წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მას გაეგზავნება ხელშეკრულების ასლი საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.

საკრებულოს წევრის, ბატონი ლევან ხაბეიშვილის თქმით, 62 000 000 ლარის სესხს დედაქალაქის მერია ტყუილად იღებს, რადგან თანხები ანგარიშზე დევს. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ ემატება ქალაქ თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 9 თანამშრომლის შტატი და რატომ იზრდება ამავე სამსახურის დაფინანსება 200 000 ლარით. დეპუტატის შეფასებით, უცნაურია რომ დედაქალაქის მერიამ 12 000 000 ლარით გაზარდოს საკრედიტო ხაზი და პარალელურად გაზარდოს ბიუროკრატია.

ბატონი ბექა დავითულიანის თქმით ის მომხრეა, რომ მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, თბილისის მუნიციპალურ ინსპექციასა და სხვა სამსახურებს, რომლებსაც დიდი დატვირთვა აქვთ, გაეზარდოთ დაფინანსება. ბატონი ბექა დავითულიანის ინფორმაციით, განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება ათასობით დოლარი ღირს, მაშინ როდესაც თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები 1500 ლარიან ხელფასზე მუშაობენ. რეალურად თბილისის მერია ამზადებს ამ სამსახურის თანამშრომლებს, შემდეგ კი ისინი ტოვებენ დაკავებულ პოზიციებს და სხვაგან მიდიან სამუშაოდ. ამიტომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის უნდა გაზარდოს ხელფასები და სამსახურის შტატები მანამდე, სანამ ამის საჭიროება იქნება.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, სადაც დასაქმებულია 31 თანამშრომელი, დაემატა 9 შტატი, რადგან ძალიან დიდი მოთხოვნაა. მისი თქმით, კიდევ საჭიროა შტატების ზრდა,

არა მხოლოდ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, არამედ არქიტექტურის სამსახურშიც. თუ თბილისის საკრებულო და მერია თანხმდება, რომ მოქალაქეებს დროულად უნდა მიეწოდოს ხარისხიანი მომსახურება, მაშინ მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებებიც.

ბატონი რევაზ სოხაძის თქმით, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში დასაქმებული სპეციალისტების მიმართ კერძო სექტორში ძალიან მაღალი მოთხოვნაა, შესაბამისად დედაქალაქის მერია, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, ვერ უძლებს კონკურენციას ერთი მხრივ, კვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის და მეორე მხრივ, კადრების გადინების დონის შემცირების კუთხით. დეპუტატის თქმით, მოქალაქეებისთვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებისთვის, საჭიროა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გაეზარდოს შტატები და აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის, დაახლოებით 3000-მდე განცხადებაა აღნიშნულ სამსახურში შესული, რომელთა განხილვას ფიზიკურად ვერ ახერხებენ თანამშრომლები.

ბატონმა რევაზ სოხაძემ საკრედიტო ხაზზე მიმდინარე მსჯელობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ შეიძლება ვინმეს პირობითად ჰქონდეს 150 000 დოლარის საკრედიტო ხაზი ბანკში, რომლითაც არ სარგებლობს. თუმცა, ბანკი მზადაა, რომ ნებისმიერ წუთს კლიენტის საჭიროებების მიხედვით მიაწოდოს მას ამ თანხიდან სხვადასხვა მოცულობის თანხა. საკომისიოს მოცულობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რეალურად ჩათვლის ბანკი კონკრეტული კლიენტისგან თანხის სრულად დაბრუნების შესაძლებლობას.

სხდომის მიმდინარეობისას, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი შეიცავს ტექნიკურ ხარვეზს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის განმარტებასთან დაკავშირებით; კერძოდ, ჩანაწერის მიხედვით, ,,სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იზრდება ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 294 ერთეულით, ხოლო ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად შემცირდა 3 ერთეულით.''

დეპუტატის თქმით, გამომდინარე იქედან, რომ რეალურად 3 საშტატო ერთეული არა მოქმედი პოზიცია, არამედ ვაკანტური საშტატო ერთეულია, კომისია მიზანშეწონილად თვლის დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ საშტატო ნუსხა განისაზღვრა 317 ერთეულით, რომელიც შედგება მოქმედი საშტატო ერთეულებისგან, მათ შორის: მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების 23 შტატისგან, 7 ხელშეკრულებით დასაქმებულისგან და სსიპ „ქ.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ 287 შტატისგან (3 ვაკანტური საშტატო ერთეულია გაუქმებული).“

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, კომისია და ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი, ქალბატონი მაკა ნასრაშვილი შეთანხმდა განმარტებით ბარათში შესატანი ამ ცვლილების ფორმულირებაზე, რომელიც მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ, თამარ ტალიაშვილმა, ლილე ლიპარტელიანმა, ლევან ხაბეიშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ბექა დავითულიანმა, რევაზ სოხაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	**7**
წინააღმდეგი _____	**0**
თავი შეიკავა _____	**0**

გადაწყვიტეს, კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი